პერსონალურ მონაცემთა
დაცვის სამსახური

პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და ხელოვნური ინტელექტის (AI) 2026-2028 წლების სამოქმედო სტრატეგია



© პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, 2025 წელი

პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და ხელოვნური ინტელექტის (AI) 2026-2028 წლების სამოქმედო სტრატეგია მომზადებულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და *„პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის 2024 წლის პირველი მარტის №32 ბრძანების* შესაბამისად, *რომლითაც განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და ფუნქციები.*

სამოქმედო სტრატეგიაში წარმოდგენილია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ინსტიტუციური ხედვა და საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებები თანამედროვე ტექნოლოგიების, კერძოდ, ხელოვნური ინტელექტის სისტემების (AI) სასიცოცხლო ციკლის ფარგლებში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და პერსონალური მონაცემების დაცვის მიმართულებით.

სარჩევი

I. შესავალი 3

II. სამოქმედო სტრატეგიის მიზანი და პრიორიტეტული მიმართულებები 7

III. სამოქმედო სტრატეგიის განხორციელების ძირითადი მაჩვენებლები 9

III. პრიორიტეტული ამოცანები და აქტივობები 10

ამოცანა 1: ხელოვნური ინტელექტის სისტემების (AI) მეშვეობით პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლა და მონაცემთა დაცვის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა 10

ამოცანა 2: პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის საზედამხედველო მანდატის ფარგლებში პრევენციული ღონისძიებების დანერგვა ხელოვნური ინტელექტის სისტემების (AI) მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასების მექანიზმების შექმნით 15

ამოცანა 3: საზოგადოებაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის კულტურის ამაღლება ხელოვნური ინტელექტის სისტემებით (AI) სარგებლობისას პერსონალური მონაცემების დაცვის მნიშვნელობისა და საშუალებების შესახებ 18

ამოცანა 4: პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და ხელოვნური ინტელექტის (AI) თემატიკაზე საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავება და საუკეთესო ევროპული პრაქტიკის იმპლემენტაცია 22

I. შესავალი

ხელოვნური ინტელექტის (AI)[1] განვითარების დადებით სოციო-ეკონომიკურ შედეგებთან ერთად, მატულობს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებზე, მათ შორის, პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაზე ზეგავლენასთან დაკავშირებული სხვადასხვა რისკი.[2] შესაბამისად, არსებითად მნიშვნელოვანია თანამედროვე ტექნოლოგიების ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებზე ზეგავლენის შედეგების წინასწარი განსაზღვრა, შეფასება და მართვა, რაც საჭიროებს შესაბამის ინსტიტუციათა თუ უწყებათა მეთოდოლოგიურ მიდგომებს.

ხელოვნურ ინტელექტთან (AI) დაკავშირებული რისკების შეფასებაში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვაზე ორიენტირებული მიდგომის ინტეგრაცია გულისხმობს ტექნოლოგიური განვითარების, ინოვაციის ხელშეწყობას და ამავდროულად ხელოვნური ინტელექტის (AI) სასიცოცხლო ციკლის (იგულისხმება **შექმნის**, **განვითარებისა** და **გამოყენების ეტაპები**)[3] ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და სამართლის უზენაესობის დაცვით განხორციელებას.[4]

---

[1] აღსანიშნავია, რომ ეროვნული კანონმდებლობა არ განმარტავს „ხელოვნური ინტელექტის“ ცნებას. წინამდებარე სტრატეგიის დოკუმენტი ეყრდნობა ევროპის საბჭოს „ხელოვნური ინტელექტისა და ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და სამართლის უზენაესობის ჩარჩო კონვენციის“ მე-2 მუხლით წარმოდგენილ განმარტებას, რომლის თანახმად, ხელოვნური ინტელექტის სისტემა არის „მანქანურ ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ სისტემა, რომელსაც მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით, შეუძლია, განსაზღვრული ნაგულისხმევი ან აშკარა მიზნების გათვალისწინებით, შეიმუშაოს წინასწარი პროგნოზები, კონტენტი, რეკომენდაციები ან გადაწყვეტილებები, რომლებიც გავლენას ახდენს რეალურ ან ვირტუალურ გარემოზე.” აღსანიშნავია, რომ საქართველო არის ევროპის საბჭოს „ხელოვნური ინტელექტისა და ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და სამართლის უზენაესობის ჩარჩო კონვენციის“ ხელმომწერი სახელმწიფო და სტრატეგიის წინამდებარე დოკუმენტი ევროპის საბჭოს ჩარჩო კონვენციით გათვალისწინებულ ეთიკურ-სამართლებრივ პრინციპებს ეყრდნობა. იხ. Art. 2, Council of Europe Treaty Series - No. 225 Council of Europe Framework Convention on Artificial Intelligence and Human Rights, Democracy and the Rule of Law.

[2] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, ხელოვნური ინტელექტი, როგორც ადამიანის უფლებების დაცვაზე ნეგატიური გავლენის საფრთხე, 2025.

[3] ასევე, შესაძლებელია ორ ეტაპად დაყოფაც: გამოყენებამდე ფაზა და გამოყენების შემდგომი ფაზა, European Commission, C(2025) 924 final, ANNEX to the Brussels, 6.2.2025 C(2025) 924 final ANNEX Communication to the Commission Approval of the content of the draft Communication from the Commission - Commission Guidelines on the definition of an artificial intelligence system established by Regulation (EU) 2024/1689 (AI Act).

[4] Council of Europe Treaty Series - No. 225 Council of Europe Framework Convention on Artificial Intelligence and Human Rights, Democracy and the Rule of Law.

საერთაშორისოსამართლებრივი ინსტრუმენტების მიხედვით[5], ხელოვნური ინტელექტის სისტემების (AI) სასიცოცხლო ციკლი უნდა უზრუნველყოფდეს საერთაშორისო სამართლით აღიარებული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, ასევე, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვას, მდგრად განვითარებასა და ანგარიშვალდებულებას; მის ფარგლებში განხორციელებული სხვადასხვა აქტივობა უნდა შესამებოდეს შემდეგ ფუნდამენტურ პრინციპებს:

- ადამიანის ღირსება და ინდივიდუალური ავტონომია;
- თანასწორობა და დისკრიმინაციის აკრძალვა;
- პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა და პერსონალური მონაცემების დაცვა;
- გამჭვირვალობა და ზედამხედველობა, ანგარიშვალდებულება და პასუხისმგებლობა;
- სანდოობა და უსაფრთხო ინოვაცია.[6]

ხელოვნური ინტელექტი (AI) ფუნქციონირებს განუსაზღვრელი ოდენობით ინფორმაციის დამუშავებაზე დაყრდნობით. მისი შექმნის, „სწავლების“ ეტაპი მოიაზრებს დიდი მოცულობით სხვადასხვა სახის ინფორმაციის დამუშავებას, მათ შორის, ალგორითმებს, რომლებიც წესების ან ინსტრუქციების ერთგვარი ერთობლიობაა, რომელზე დაყრდნობით მას შეუძლია სხვადასხვა სიტუაციური საკითხების დამოუკიდებლი ანალიზი და ავტონომიური გადაწყვეტა.[7] ხელოვნური ინტელექტის (AI) იმპლემენტაციის კონტექსტის (მაგალითად, სექტორი, სფერო, სხვადასხვა გარემოება) გათვალისწინებით, მისი „სწავლების“ პროცესის ფარგლებში გამოყენებული ინფორმაცია შესაძლებელია იყოს პერსონალური მონაცემიც. აქედან გამომდინარე, ხელოვნური ინტელექტი მისი სასიცოცხლო ციკლის პირველივე ფაზიდან ამუშავებს დიდი მოცულობით პერსონალურ მონაცემებს, რაც თავის მხრივ წარმოშობს მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებულ რისკებს.

შესაბამისად, ზემოაღნიშნული რისკები უკავშირდება როგორც ხელოვნური ინტელექტის (AI) სისტემის საწყისს ეტაპს — **დაპროექტების**, შემდგომ — **შემუშავების** და ბოლოს — **დანერგვის/იმპლემენტაციის ფაზებს**. კერძოდ, მონაცემების სისტემაში

[5] რომელშიც საქართველო მონაწილეობს: UNESCO Recommendation on the Ethics of Artificial Intelligence, SHS/BIO/REC-AIETHICS/2021; UN Resolution A/RES/78/265, Seizing the Opportunities of Safe, Secure and Trustworthy Artificial Intelligence System for Sustainable Development; Council of Europe Treaty Series - No. 225 Council of Europe Framework Convention on Artificial Intelligence and Human Rights, Democracy and the Rule of Law.

[6] Chapter III, Council of Europe Treaty Series - No. 225 Council of Europe Framework Convention on Artificial Intelligence and Human Rights, Democracy and the Rule of Law.

[7] European Commission, C(2025) 924 final, Annex to the Communication to the Commission, Approval of the Content of the Draft Communication from the Commission – Commission Guidelines on the Definition of an Artificial Intelligence System Established by Regulation (EU) 2024/1689 (AI Act), 2025, p. 9.

განთავსება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც შემუშავების, ისევე მისი იმპლემენტაციის ეტაპზე და აღნიშნული მონაცემი შესაძლებელია მოიცავდეს ხელოვნური ინტელექტის (AI) მიერ განსახორციელებელი დავალების შესაბამის ინფორმაციას.[8]

პერსონალურ მონაცემთა დაცვის თვალსაზრისით ხელოვნური ინტელექტის სისტემა (AI) უკავშირდება იმგვარ რისკებს, როგორიცაა: მონაცემთა გადაჭარბებული მოცულობით დამუშავება, მონაცემთა არაავტორიზებული წვდომა, მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის არასათანადო გარანტიები, იდენტობის მითვისება ("Identity Theft"), მცდარი და სინთეტური მონაცემების ("Deepfakes", "Synthetic Data") წარმოება, პროფაილინგი და ავტომატიზებული ინდივიდუალური გადაწყვეტილების დისკრიმინაციული შედეგები, მონაცემთა მეტად დაფარვის პრიორიტეტულობის, როგორც ალტერნატიული მიდგომის არჩევამდე ავტომატურად გამოყენებული საწყისი მეთოდის გაუთვალისწინებლობა, მონაცემთა დაცვის ზეგავლენის არასათანადო შეფასება და სხვა. აღნიშნული რისკების იდენტიფიცირება, ანალიზი და შეფასება საჭიროებს მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისა და უფლებამოსილი პირის საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებას იმდენად, რამდენადაც ხელოვნური ინტელექტის სისტემა (AI) შესაძლებელია გამოიყენებოდეს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების ან არასრულწლოვნის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირისა და სხვა განსაკუთრებული სოციალური თუ სამართლებრივი დაცვის საჭიროების მქონე მონაცემთა სუბიექტის მონაცემების დასამუშავებლად.

აღსანიშნავია, სქართველოს სახალხო დამცველის 2025 წლის სპეციალური ანგარიში, რომელშიც სხვა საკითხებთან ერთად, აგრეთვე განხილულია ხელოვნური ინტელექტის (AI) ადამიანის უფლებებზე პოტენციური უარყოფითი გავლენა პერსონალურ მონაცემთა დიდი ოდენობით შესაძლო არაპროპორციულ დამუშავების თვალსაზრისით, რომლითაც შესაძლოა ზიანი მიადგეს არამხოლოდ ადამიანის პირადი ცხოვრების უფლებას, არამედ მის სხვა სამოქალაქო და სოციალურ-ეკონომიკურ უფლებებს (გამოხატვის, შრომით, ჯანმრთელობის, განათლების, სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების და სხვა უფლებებს).[9] ამასთანავე, საგულისხმოა ის შესაძლო დისკრიმინაციული მოპყრობის რისკი, რომელიც ფიზიკური პირის მიმართ ხელოვნური ინტელექტის (AI) მეშვეობით მიღებული გადაწყვეტილებების სახით შეიძლება რომ დადგეს.[10] ამ თვალსაზრისით ასევე

[8] CDDH-IA(2025)1REV, Steering Committee for Human Rights (CDDH), [DRAFT] Handbook on human rights and artificial intelligence Chapters I, II and III, 2025, p. 9.

[9] [საქართველოს სახალხო დამცველი, სპეციალური ანგარიში „ხელოვნური ინტელექტი, როგორც ადამიანის უფლებების დაცვაზე ნეგატიური ზეგავლენის საფრთხე", 2025](), გვ. 4.

[10] იქვე.

გასათვალისწინებელია გაეროს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაზე სპეციალური მომხსენებლის 2023 ანგარიში, რომელშიც მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის მიმართულებით ხაზგასმით აღნიშნულია ხელოვნური ინტელექტის (AI) გამჭვირვალობისა ("Transparency") და ახსნა-განმარტების ("Explainability") პრინციპები; კერძოდ, ხელოვნური ინტელექტზე (AI) დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილებების შემთხვევაში, ახსნა-განმარტების პრინციპი უმნიშვნელოვანესია, რადგან იგი შეესაბამება გამჭვირვალობის პრინციპს, ხოლო მეორე მხრივ, ფიზიკური პირებისთვის უზრუნველყოფს დაცვის უფლებასა და სათანადო პროცესების განხორციელების შესაძლებლობას.[11]

საქართველოში პერსონალური მონაცემების დამუშავებისას პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება დაცულია კონსტიტუციით[12], ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით[13], „პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ" ევროპის საბჭოს კონვენციით[14] და მისი დამატებითი ოქმით[15], „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით[16] და პერსონალურ მონაცემთა დაცვის დამოუკიდებელი სახელმწიფო საზედამხედველო ორგანოს — პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ინსტიტუციური ფუნქციონირებით.

საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლის რეფორმისა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის იმპლემენტაციის შედეგად[17], აღსანიშნავია, რომ კანონმდებლობა მნიშვნელოვნად დაუახლოვდა ევროპულ სტანდარტებს და პასუხობს სწრაფი ტექნოლოგიური განვითარებით გამოწვეულ დარგობრივ რისკებს. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია კანონით განსაზღვრული დამუშავებისთვის პასუხისმგებელი და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირებისთვის ვალდებულებები, მონაცემთა სუბიექტის უფლებათა გაფართოებული წრე. აგრეთვე, მონაცემთა დაცვის ახალი პრევენციული მექანიზმები და ინსტიტუტები, რომელთა პრაქტიკული იმპლემენტაცია მნიშვნელოვანია ტექნოლოგიურ განვითარებასთან დაკავშირებული რისკების არიდების და ახალი

---

[11] UN, A/78/310, Report of the Special Rapporteur on the right to privacy, Ana Brian Nougrères, Principles of transparency and explainability in the processing of personal data in artificial intelligence, 2023.

[12] მუხლი 15, საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995.

[13] მუხლი 8, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, 04/11/1950.

[14] „პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ" ევროპის საბჭოს 1981 წლის 28 იანვრის კონვენცია.

[15] ევროპის საბჭოს „პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ კონვენციის დამატებითი ოქმი, ზედამხედველობით ორგანოებთან და მონაცემთა ტრანსსასაზღვრო გადადინებასთან დაკავშირებით", 2001.

[16] „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ", 3144-XIმს-Xმპ, 14/06/2023.

[17] იხ. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის საქმიანობის სპეციალური ანგარიში: „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის იმპლემენტაცია, 2025.

პროდუქტის ან მომსახურებების შექმნის პროცესში პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის თვალსაზრისით (მაგალითად: მონაცემთა დაცვის ზეგავლენის შეფასება, მონაცემთა დაცვის ოფიცერი, მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევის (ინციდენტის) შეტყობინება, მონაცემთა მეტად დაფარვის პრიორიტეტი და სხვა).

საგულისხმოა, რომ „საქართველოს ციფრული მმართველობის 2025-2030 წლების სტრატეგია“,[18] რომელიც წარმოადგენს ციფრული მმართველობის სფეროში საქართველოს მთავრობის გრძელვადიან ხედვას, დამოუკიდებელი მიზნის სახით ითვალისწინებს „ციფრული მმართველობის მხარდამჭერი პროცესებისა და ელემენტების გაძლიერებას“, მათ შორის, სერვისების შექმნისა და ადმინისტრაციული წარმოების პროცესში პერსონალური მონაცემების დაცვას. აღნიშნული სტრატეგიის განხორციელების პროცესში ერთ-ერთ პასუხისმგებელ უწყებას პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური წარმოადგენს და აქტიურად მონაწილეობს 2025-2026 წლების სამოქმედო გეგმით[19] გათვალისწინებული ამოცანების შესრულებაში.

II. სტრატეგიის მიზანი და პრიორიტეტული მიმართულებები

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის „პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და ხელოვნური ინტელექტის (AI) 2026-2028 წლების სამოქმედო სტრატეგია“ აყალიბებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ინსტიტუციურ ხედვასა და მისი ძირითადი საქმიანობის პრიორიტეტულ აქტივობებს ხელოვნური ინტელექტის (AI) სასიცოცხლო ციკლის ფარგლებში პერსონალური მონაცემების დაცვაზე, ასევე, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაზე ზეგავლენიდან გამომდინარე რისკების პრევენციის მიმართულებით.

სტრატეგია მიზნად ისახავს საქართველოში ინოვაციისა და ტექნოლოგიური განვითარებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნის ხელშეწყობას, ხელოვნური ინტელექტის სისტემების (AI) საშუალებით პერსონალური მონაცემების დამუშავებისას ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების, მათ შორის, პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებების, დაცვის უზრუნველყოფას. სტრატეგიის მიზანია

[18] საქართველოს მთავრობის დადგენილება N100 „საქართველოს ციფრული მმართველობის 2025 – 2030 წლების სტრატეგიისა“ და „საქართველოს ციფრული მმართველობის 2025 – 2030 წლების სტრატეგიის 2025-2026 წლების სამოქმედო გეგმის“ დამტკიცების შესახებ.

[19] იხ. საქართველოს ციფრული მმართველობის 2025-2030 წლების სტრატეგიის 2025-2026 წლების სამოქმედო გეგმა.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ზედამხედველობითი ფუნქციის გაძლიერება ხელოვნური ინტელექტის სისტემების (AI) მეშვეობით პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პროცესებზე, მონაცემთა სუბიექტის უფლებების ეფექტიანი დაცვისა და ინფორმირებულობის უზრუნველყოფა, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ამგვარი სისტემების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის რისკებთან დაკავშირებით. აგრეთვე, პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და ხელოვნური ინტელექტის (AI) თემატიკაზე საერთაშორისო ინიციატივებში აქტიური მონაწილეობა.

სამოქმედო სტრატეგია ეყრდნობა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის" შესახებ საქართველოს კანონს, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის 2025-2028 წლების საქმიანობის სტრატეგიას[20], ხელოვნური ინტელექტის ეთიკური ჩარჩოს განმსაზღვრელ საერთაშორისო სტანდარტებსა და ევროპის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოთა გამოცდილებას. იგი თანხვედრაშია საქართველოს 2022-2030 წლების ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიით[21], საქართველოს ციფრული მმართველობის 2025–2030 წლების სტრატეგიით გათვალისწინებულ ამოცანებთან და გამომდინარეობს საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის 2025 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმიდან[22].

სამოქმედო სტრატეგია ითვალისწინებს **ოთხ პრიორიტეტულ მიმართულებას (ამოცანას)**:

- ხელოვნური ინტელექტის სისტემების (AI) მეშვეობით პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლა და მონაცემთა დაცვის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის საზედამხედველო მანდატის ფარგლებში პრევენციული ღონისძიებების დანერგვა ხელოვნური ინტელექტის სისტემების (AI) მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასების მექანიზმების შექმნით.
- საზოგადოებაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის კულტურის ამაღლება ხელოვნური ინტელექტის სისტემებით (AI) სარგებლობისას პერსონალური მონაცემების დაცვის მნიშვნელობისა და საშუალებების შესახებ.

---

[20] პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის 2025-2028 წლების საქმიანობის სტრატეგია.

[21] საქართველოს პარლამენტის 2023 წლის 23 მარტის დადგენილება „საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის (2022–2030 წლებისთვის)" დამტკიცების შესახებ.

[22] იხ. საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების განხორციელების დაგეგმვისა და მონიტორინგის ელექტრონული სისტემა.

— პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და ხელოვნური ინტელექტის (AI) თემატიკაზე საერთაშორისო ფორუმებში მონაწილეობა და საუკეთესო ევროპული პრაქტიკის იმპლემენტაცია.

III. სამოქმედო სტრატეგიის განხორციელების ძირითადი მაჩვენებლები

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის „პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და ხელოვნური ინტელექტის (AI) 2026-2028 წლების სამოქმედო სტრატეგიის“ ფარგლებში განხორციელებული აქტივობებისა და მიღწეული შედეგების შესახებ ინფორმაცია პერიოდულად აისახება და გამოქვეყნდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის სპეციალურ და ყოველწლიურ ანგარიშებში, შემდეგი მაჩვენებლების/ინდიკატორების გათვალისწინებით:

— თანამედროვე ტექნოლოგიების, მათ შორის, ხელოვნური ინტელექტის სისტემების (AI) მეშვეობით პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლის თაობაზე წლიური სტატისტიკური მონაცემი.

— პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და ხელოვნური ინტელექტის (AI) საკითხებზე ევროპული სტანდარტებიდან გამომდინარე მომზადებული და გამოქვეყნებული სახელმძღვანელო რეკომენდაციები.

— საჯარო დაწესებულებების თემატური სამართლებრივი აქტების პროექტების შესახებ მომზადებული დასკვნებისა და გაცემული რეკომენდაციების რაოდენობა.

— სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში, ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის გაწეული თემატური სამართლებრივი კონსულტაციების რაოდენობა.

— პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და ხელოვნური ინტელექტის (AI) საკითხზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით განხორციელებული აქტივობები.

— თემატურ დარგობრივ საერთაშორისო ქსელებსა და ფორუმებში სამსახურის მონაწილეობა და საზღვარგარეთის კოლეგა საზედამხედველო ორგანოებთან საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოვება.

III. პრიორიტეტული ამოცანები და აქტივობები

ამოცანა 1: ხელოვნური ინტელექტის სისტემების (AI) მეშვეობით პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლა და მონაცემთა დაცვის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერებაზე კონტროლის განხორციელების მიზნით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური შეისწავლის საჯარო და კერძო სექტორის, სამართალდამცავ ორგანოთა მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერებას, როგორც საკუთარი ინიციატივით — გეგმური ინსპექტირების, ისევე დაინტერესებული პირების შეტყობინებისა და მოქალაქეთა განცხადების საფუძველზე — არაგეგმური ინსპექტირების ფარგლებში. სამსახური, მის მიერ შემუშავებული გეგმური ინსპექტირების მეთოდოლოგიის დოკუმენტის შესაბამისად, წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე, ავლენს ისეთ სფეროებს და პროცესებს, რომლის ფარგლებშიც მაღალია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის ალბათობა. აღნიშნულის საფუძველზე ყოველწლიურად შემუშავდება პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლის გეგმა.

ციფრული ტრანსფორმაციისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების ფონზე, ხელოვნური ინტელექტის სისტემების (AI) გამოყენება სულ უფრო მზარდი და ფართომასშტაბიანი ხდება როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორის მიერ სხვადასხვა სფეროებში: ჯანდაცვა, განათლება, ციფრული მომსახურების მიწოდება, სამართალდამცავი უწყებების საქმიანობითა და სხვა. შესაბამისად, თანამედროვე ტექნოლოგიები წარმოადგენდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ საჯარო, კერძო და სამართალდამცავ სექტორებში მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმებების 2022,[23] 2023,[24] 2024,[25] 2025[26] წლების გეგმის ერთ-ერთ პრიორიტეტულ სფეროს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სტრატეგიით

[23] პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის 2024 წლის 31 დეკემბრის ბ/1259 – 2024 ბრძანება პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების გეგმური შემოწმებების (ინსპექტირება) 2025 წლის გეგმის დამტკიცების შესახებ.

[24] პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის 2024 წლის 18 იანვრის ბ/0046 – 2024 ბრძანება პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების გეგმური შემოწმებების (ინსპექტირება) 2024 წლის გეგმის დამტკიცების შესახებ.

[25] პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის 2023 წლის 31 იანვრის 01/20 ბრძანება პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების გეგმური შემოწმებების (ინსპექტირება) 2023 წლის გეგმის დამტკიცების შესახებ.

[26] პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის 2022 წლის 7 აპრილის 01/23 ბრძანება პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების გეგმური შემოწმებების (ინსპექტირება) 2022 წლის გეგმის დამტკიცების შესახებ.

გათვალისწინებული წინამდებარე ამოცანა მიზნად ისახავს ზემოაღნიშნულ სექტორებში მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირების მიერ სწრაფად განვითარებადი ხელოვნური ინტელექტის სისტემების (AI), მათ შორის, ინოვაციური და თანამედროვე ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლასა და ანალიზს, ასევე, გამოვლენილი დარღვევების შესაბამისი ღონისძიებების გამოყენებას.

ამასთანავე, ამოცანის მიზანია სამსახურის ზედამხედველობითი ფუნქციის განხორციელება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ახალი პრევენციული მექანიზმებისა და ინსტიტუტების პრაქტიკული იმპლემენტაციის მიმართულებით. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა: მონაცემთა დაცვის ზეგავლენის შეფასება, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევის (ინციდენტის) შეტყობინება, მონაცემთა მეტად დაფარვის პრიორიტეტი, მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა. აგრეთვე, სამსახური მიზნად ისახავს იმგვარი პრაქტიკული მეთოდებისა და მიდგომების პოპულარიზაციას, რომელიც ხელოვნური ინტელექტის სისტემების (AI) შექმნის ფაზაში უზრუნველყოფენ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკანონმდებლო სტანდარტის დაცვას. ამ მიმართულებით აღსანიშნავია მანქანური სწავლების ხელშეწყობა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის მეთოდების (“Privacy-Preserving Machine Learning (PPML)”) მიმართ ცნობიერების ამაღლებით და სამსახურის მიერ გამოსაყენებელი საკანონმდებლო ღონისძიებების ფარგლებში მათი პოპულარიზაციით. ამოცანის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა მონაცემთა უსაფრთხოებისა და კონფიდენციალურობის დაცვის მიზნით ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების პრაქტიკული იმპლემენტაციის შესწავლა და სტანდარტის ასამაღლებლად „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ძლიერი დაცვის ტექნოლოგიების“ (“Privacy-Enhancing Technologies (PETs)”) სხვადასხვა ტექნიკის მიმართ ცნობიერების ამაღლება (მაგალითად, დაშიფვრა, დეპერსონალიზაცია, დიფერენციალური კონფიდენციალურობა, სხვა.).

სტრატეგიით გათვალისწინებული **პირველი ამოცანის** — ხელოვნური ინტელექტის სისტემების (AI) მეშვეობით პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლა და მონაცემთა დაცვის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, პრიორიტეტულად მიიჩნევა:

№	აქტივობა	ქვე-აქტივობა
1.1.	ხელოვნური ინტელექტის სისტემების (AI) მეშვეობით პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პროცესების მიმართ კანონმდებლობის აღსრულების ხელშეწყობა და თანმიმდევრული პრაქტიკის დანერგვა.	1.1.1. ტექნოლოგიური განვითარებისა და თანამედროვე რისკების გათვალისწინებით, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის ევროპის კავშირისა და ევროპის საბჭოს მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის შესაბამისად იმპლემენტაცია.
1.2.	ხელოვნური ინტელექტის სისტემების (AI) მეშვეობით პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პროცესების მიმართ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ინსტიტუციური ეფექტიანობის გაზრდა.	1.2.1. საჯარო და კერძო სექტორების წარმომადგენლების, ფიზიკური პირებისა და სამართალდამცავ ორგანოთა მიერ ხელოვნური ინტელექტის სისტემების (AI) მეშვეობით პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლის მიზნით შესაბამისი მეთოდოლოგიის შემუშავება.
		1.2.2. საჯარო და კერძო სექტორების წარმომადგენლების, ფიზიკური პირებისა და სამართალდამცავ ორგანოთა მიერ ხელოვნური ინტელექტის სისტემების (AI) სასიცოცხლო ციკლის ფარგლებში პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების გეგმური შესწავლა.
		1.2.3. ხელოვნური ინტელექტის სისტემების (AI) მეშვეობით პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლის შედეგად გამოვლენილი დარღვევების აღკვეთისა და

		სამომავლო პრევენციის მიზნით, საჯარო და კერძო სექტორებისა და სამართალდამცავი ორგანოებისთვის შესაბამისი დავალებებისა და რეკომენდაციების გაცემა.
		1.2.4.ხელოვნური ინტელექტის სისტემების (AI) სასიცოცხლო ციკლის ფარგლებში პერსონალურ მონაცემთა დამუშავების საკითხებზე საკონსულტაციო ფორმატების ანალიზი და გაუმჯობესება.
		1.2.5. თანამედროვე ტექნოლოგიების, მათ შორის, ხელოვნური ინტელექტის სისტემების (AI) მეშვეობით პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლის თაობაზე წლიური სტატისტიკური მონაცემების წარმოება და კვარტალური ანალიზი.
1.3.	ხელოვნური ინტელექტის სისტემების (AI) მეშვეობით პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას მონაცემთა სუბიექტების უფლებათა დაცვის სათანადო გარანტიების შექმნის ხელშეწყობა.	1.3.1.პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლის პროცესში განსაკუთრებული სოციალური თუ სამართლებრივი დაცვის საჭიროების მქონე მონაცემთა სუბიექტების დაცვის გარანტიების ამაღლება და სექტორული რეკომენდაციების მომზადება.
		1.3.2. „მანქანური სწავლების პროცესში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის მეთოდებისა“ (“Privacy-Preserving Machine Learning (PPML)”) და „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ძლიერი დაცვის

		ტექნოლოგიების“ (“Privacy-Enhancing Technologies (PETs)”) სხვადასხვა ტექნიკის პოპულარიზაცია.

ამოცანა 2: პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის საზედამხედველო მანდატის ფარგლებში პრევენციული ღონისძიებების დანერგვა ხელოვნური ინტელექტის სისტემების (AI) მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასების მექანიზმების შექმნით

სტრატეგიით გათვალისწინებული წინამდებარე ამოცანა მიზნად ისახავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის, როგორც დამოუკიდებელი საზედამხედველო ორგანოს, მანდატის ფარგლებში პრევენციული მექანიზმების შექმნასა და დანერგვას, რომელიც დაეხმარებათ მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ და დამუშავებაზე უფლებამოსილ პირებს თანამედროვე ტექნოლოგიებიდან გამომდინარე შესაბამისი რისკების მართვაში. ამოცანა ასევე მიემართება ხელოვნური ინტელექტის სისტემების (AI) სწრაფი განვითარების ხელშეწყობას ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვაზე ორიენტირებული მიდგომებით. აღნიშნული განსაკუთრებით აქტუალურია ხელოვნური ინტელექტის (AI) მეშვეობით ავტომატიზებული ან ადამიანური რესურსის მინიმალური მონაწილეობით მიღებული გადაწყვეტილებების კონტექსტში, რაც, თავის მხრივ, უკავშირდება მონაცემთა სუბიექტების მიმართ დისკრიმინაციული შედეგების რისკებს.

შესაბამის დარღვევებზე დროული და ეფექტიანი რეაგირების პარალელურად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური მიზნად ისახავს პრევენციული მიდგომების ინსტიტუციურ გამყარებას, რაც გულისხმობს საჯარო და კერძო სექტორის, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მხარდაჭერას მაღალი რისკის შემცველი მონაცემთა დამუშავების იდენტიფიცირებასა და მართვაში. აღსანიშნავია, რომ ამ პროცესში ცენტრალურ როლს ასრულებს მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასება, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი მონაცემთა დამუშავების პროცესის კანონიერების უზრუნველსაყოფად. გასათვალისწინებელია მონაცემთა დაცვის ზეგავლენის შეფასება წარმოადგენს *ex ante* — ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების შელახვის საფრთხის წინასწარ ანალიზს, თუმცა ხელოვნური ინტელექტის (AI) ტექნოლოგიების ფართომასშტაბიანი გავლენიდან და მისი სწრაფად განვითარებადი ბუნებიდან გამომდინარე, რეკომენდებულია შეფასების პერიოდული (მონაცემთა დამუშავების პროცესში და დასასრულს) *ex post* წარმოება. ასევე, შესწავლის შედეგებზე დაყრდნობით იდენტიფიცირებული რისკების შესამცირებლად შესაბამისი ღონისძიებების გეგმის განსაზღვრა და პერიოდული რევიზია/განახლება.

აღსანიშნავია, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის ნორმატიული აქტი ადგენს მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასების

ვალდებულების წარმომშობი გარემოებების დადგენის კრიტერიუმებსა და შეფასების წესს.[27] ამასთანავე, სამსახურმა შეიმუშავა სახელმძღვანელო რეკომენდაცია მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასების შესახებ, რომელიც ნიმუშის სახით აგრეთვე მოიცავს მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასების დოკუმენტის სარეკომენდაციო ფორმას.[28] წინამდებარე ამოცანის ფარგლებში სამსახური მიზნად ისახავს ხელოვნური ინტელექტის სისტემების (AI) პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასების მეთოდოლოგიის დახვეწას, ამასთანავე, ფიზიკური პირების, მცირე და საშუალო მეწარმე სუბიექტების მიერ მონაცემთა დამუშავების პროცესის მასშტაბზე მორგებული მეთოდოლოგიის შექმნას. აგრეთვე, ამოცანის მიზანია მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასების თემატიკაზე სამსახურის მიერ შემუშავებული რეკომენდაციებისა და მასში წარმოდგენილი ნიმუშის განახლება. სხვადასხვა სექტორის წარმომადგენელი დამუშავებისთვის პასუხისმგებელი და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირების მიერ შესაბამისი რისკების თვითშეფასების მიზნით, სამსახური აგრეთვე უზრუნველყოფს მისი ვებგვერდის მეშვეობით ზეგავლენის შეფასების ტესტის პრევენციული მექანიზმის სახით ხელმისაწვდომობას.

სტრატეგიით გათვალისწინებული **მეორე ამოცანის** — პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის საზედამხედველო მანდატის ფარგლებში ხელოვნური ინტელექტის სისტემების (AI) მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასების მექანიზმების შექმნის გზით პრევენციული ღონისძიებების დასანერგად, პრიორიტეტულად მიიჩნევა:

№	აქტივობა	ქვე-აქტივობა
2.1.	ხელოვნური ინტელექტის სისტემების (AI) მეშვეობით პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პროცესების მიმართ არსებული პრევენციული ღონისძიებების დახვეწა.	2.1.1. მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასების არსებული მეთოდოლოგიისა და შეფასების კრიტერიუმების დახვეწა, ასევე, პერიოდული შეფასებისთვის მეთოდოლოგიის განახლება, ხელოვნური ინტელექტის (AI) სპეციფიკის გათვალისწინებით.

[27] პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის 2024 წლის 28 თებერვლის ბრძანება №21 მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასების ვალდებულების წარმომშობი გარემოებების დადგენის კრიტერიუმებისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ.

[28] პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის რეკომენდაცია მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასების (DPIA) შესახებ.

		2.1.2. მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასების შესახებ არსებული რეკომენდაციისა და ნიმუშის დახვეწა/განახლება, ხელოვნური ინტელექტის (AI) სპეციფიკის გათვალისწინებით.
2.2.	ხელოვნური ინტელექტის სისტემების (AI) მეშვეობით პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პროცესების მიმართ ახალი პრევენციული ღონისძიებების დანერგვა.	2.2.1.ფიზიკური პირების, მცირე და საშუალო მეწარმე სუბიექტების მიერ მონაცემთა დამუშავების პროცესის მასშტაბზე მორგებული მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასების მეთოდოლოგიის შექმნა, ხელოვნური ინტელექტის (AI) სპეციფიკის გათვალისწინებით.
		2.2.2.სამსახურის ვებგვერდზე ზეგავლენის შეფასების წარმოების განმსაზღვრელი თვითშეფასების (ტესტის) ინტეგრირება და საჯაროდ ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

ამოცანა 3: საზოგადოებაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის კულტურის ამაღლება ხელოვნური ინტელექტის სისტემებით (AI) სარგებლობისას პერსონალური მონაცემების დაცვის მნიშვნელობისა და საშუალებების შესახებ

საზოგადოებრივად მდგრადი ციფრული გარემოს ჩამოყალიბება გულისხმობს მონაცემთა სუბიექტების ინფორმირებულობას საკუთარი უფლებებისა და მათი დაცვის საშუალებების შესახებ. ციფრული განვითარების შედეგად ხელოვნური ინტელექტის (AI) ტექნოლოგიები ყოველდღიური გამოყენების საშუალებებს წარმოადგენს. აღნიშნული ემსახურება საჯარო თუ კომერციული მომსახურებების გამარტივებასა და მათი მარტივი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. თანამედროვე ტექნოლოგიებიდან გამომდინარე შესაბამისი რისკების პრევენციაში არსებითად მნიშვნელოვანია მონაცემთა სუბიექტების ინფორმირება მათი პერსონალური მონაცემების დამუშავების სხვადასხვა პროცესის თაობაზე. შესაბამისად, სტრატეგიით განსაზღვრული წინამდებარე ამოცანის მიზანია ხელოვნური ინტელექტის სისტემებით (AI) სარგებლობისას მონაცემთა სუბიექტთა ცნობიერების ამაღლება და საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების ინტერესებზე მორგებული საგანმანათლებლო და საინფორმაციო ღონისძიებების განხორციელება. განსაკუთრებით საყურადღებოა ისეთი ჯგუფების ინფორმირებულობის ამაღლება, რომლებიც შესაძლოა ნაკლებად იყვნენ დაცულნი თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების პროცესში (მაგალითად, არასრულწლოვანები, ხანდაზმული პირები, ეთნიკური უმცირესობები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები და სხვა), რათა უზრუნველყოფილ იქნეს თანაბარი წვდომა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის საშუალებებზე.

ამასთანავე, მზარდი ტექნოლოგიური პროგრესის გათვალისწინებით, სამსახურისთვის პრიორიტეტულია დამუშავებისთვის პასუხისმგებელი და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირებისთვის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკანონმდებლო მექანიზმებისა და სამსახურის საქმიანობის შესახებ ფართომასშტაბიანი ღონისძიებების განხორციელება. აღნიშნული ასევე მოიაზრებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ინსტიტუციურ მხარდაჭერას ხელოვნური ინტელექტის (AI) სასიცოცხლო ციკლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. სამსახური მიზნად ისახავს დამატებითი საგანმანათლებლო რესურსების (ელექტრონული კურსების)[29] შექმნასა და საუკეთესო ევროპულ პრაქტიკაზე დაყრდნობით შესაბამისი სახელმძღვანელო რეკომენდაციების შემუშავებას, რაც დაეხმარებათ კერძო, საჯარო და

[29] პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის საგანმანათლებლო პლატფორმა https://elearning.pdps.ge/.

სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს ხელოვნური ინტელექტის (AI) საშუალებით მონაცემთა დამუშავების პროცესების მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მართვაში.

სტრატეგიით გათვალისწინებული **მესამე ამოცანის** — ხელოვნური ინტელექტის სისტემებით (AI) სარგებლობისას პერსონალური მონაცემების დაცვის მნიშვნელობისა და საშუალებების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად, პრიორიტეტულად მიიჩნევა:

№	აქტივობა	ქვე-აქტივობა
3.1.	ხელოვნური ინტელექტის სისტემებით (AI) სარგებლობისას მონაცემთა სუბიექტთა ცნობიერების ამაღლება და საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების ინტერესებზე მორგებული საინფორმაციო კამპანიების წარმოება.	3.1.1.ხელოვნური ინტელექტის სისტემებით (AI) სარგებლობისას მონაცემების დამუშავების თავისებურებების, შესაძლო რისკების, მონაცემთა სუბიექტების უფლებებისა და დაცვის მექანიზმების შესახებ საზოგადოების ინფორმირების მიზნით თემატური კამპანის წარმოება.
		3.1.2.ხელოვნური ინტელექტის (AI) სისტემების საშუალებით პერსონალურ მონაცემთა დამუშავების თემატიკაზე სამსახურის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებებისა და საუკეთესო ევროპული პრაქტიკის შესახებ საზოგადოების ინფორმირება.
		3.1.3. საქართველოში თანამედროვე ტექნოლოგიების, მათ შორის, ხელოვნური ინტელექტის (AI) საშუალებით მონაცემთა დამუშავების კანონიერების

		შეფასების შესახებ სპეციალური ანგარიშის მომზადება.
3.2.	დამუშავებისთვის პასუხისმგებელი და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირების ცნობიერების ამაღლება ხელოვნური ინტელექტის (AI) სასიცოცხლო ციკლის ფარგლებში პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხებზე.	3.2.1.სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლებისთვის, ასევე, პროფესიული ჯგუფებისათვის ხელოვნური ინტელექტის (AI) ტექნოლოგიების მონაცემთა დაცვის სტანდარტებთან შესაბამისობის თემატიკაზე საინფორმაციო ბროშურებისა და გზამკვლევის მომზადება.
		3.2.2.სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლებისთვის, ასევე, პროფესიული ჯგუფებისათვის ხელოვნური ინტელექტის სისტემებით (AI) პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისა და დაცვის სტანდარტებთან შესაბამისობის თემატიკაზე საინფორმაციო შეხვედრებისა და ღონისძიებების გამართვა.
		3.2.2.ხელოვნური ინტელექტის (AI) ტექნოლოგიების მონაცემთა დაცვის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხებზე საგანმანათლებლო კურსის მომზადება და სამსახურის სასწავლო პლატფორმაზე განთავსება.
		3.2.3. ხელოვნური ინტელექტის (AI) და მონაცემთა დაცვის საკითხებზე სახელმძღვანელო რეკომენდაციების შემუშავება და ევროპის საზედამხედველო ორგანოთა პრაქტიკის კვლევა.

3.3.	პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ინსტიტუციური მხარდაჭერა.	3.3.1.ხელოვნური ინტელექტის (AI) სასიცოცხლო ციკლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტანდარტებთან შესაბამისობის თემატიკაზე პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრებისთვის საინფორმაციო და საკონსულტაციო პლატფორმის შექმნა.

ამოცანა 4: პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და ხელოვნური ინტელექტის (AI) თემატიკაზე საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავება და საუკეთესო ევროპული პრაქტიკის იმპლემენტაცია

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის საქმიანობაში იმპლემენტაციის მიზნით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური აქტიურად თანამშრომლობს ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის ინსტიტუციებთან, ევროპის პერსონალურ მონაცემთა დაცვის კოლეგა საზედამხედველო ორგანოებთან, დარგობრივ საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ქსელებთან.[30] წინამდებარე ამოცანის მიზანია ხელოვნური ინტელექტის (AI) სასიცოცხლო ციკლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ევროპულ სტანდარტთან ჰარმონიზაცია და კოლეგა საზედამხედველო ორგანოების მიდგომების პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის საქმიანობაში გათვალისწინება. ამ თვალსაზრისით სამსახურისთვის პრიორიტეტულია ხელოვნური ინტელექტის (AI) მეშვეობით პერსონალურ მონაცემთა დამუშავების საკითხებზე ევროკავშირის წევრ ქვეყნებში დანერგილი ზედამხედველობითი და პრევენციული მექანიზმების შესწავლა და ანალიზი. აღნიშნული მიზნით სამსახური გამოიყენებს მისთვის ხელმისაწვდომ საერთაშორისო სადისკუსიო პლატფორმებსა და ფორმატებს ინსტიტუციური შესაძლებლობების გაფართოებისა და საუკეთესო პრაქტიკის საქმიანობაში დანერგვის მიზნით. აგრეთვე, ინსტიტუციური კომპეტენციის და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, სამსახური აქტიურად ითანამშრომლებს კოლეგა საზედამხედველო ორგანოებთან.

ამოცანა ასევე შეესაბამება სამსახურის 2025-2028 წლების საქმიანობის სტრატეგიულ მიმართულებას პერსონალური მონაცემების დაცვის აქტუალურ საკითხებზე საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებისა და გაფართოების თაობაზე. იგი აგრეთვე ხელს შეუწყობს ციფრული განვითარებისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის აქტუალურ საკითხებზე საქართველოს საერთაშორისო პოზიციონირებას და სამსახურის ინსტიტუციური ცნობადობის ამაღლებას.

სტრატეგიით გათვალისწინებული **მეოთხე ამოცანის** — პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და ხელოვნური ინტელექტის (AI) თემატიკაზე საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავებისა და საუკეთესო ევროპული პრაქტიკის იმპლემენტაციის მიზნით, პრიორიტეტულად მიიჩნევა:

---

[30] იხ. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის სპეციალური ანგარიში პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლის საუკეთესო ევროპული პრაქტიკისა და სტანდარტის დანერგვის მიზნით 2022-2024 წლებში სამსახურის მიერ განხორციელებული საერთაშორისო აქტივობების შესახებ.

№	აქტივობა	ქვე-აქტივობა
4.1.	პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და ხელოვნური ინტელექტის (AI) საკითხებზე საერთაშორისო და რეგიონული ურთიერთობების გაფართოება.	4.1.1. ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის შესაბამის ინსტიტუტებთან, მათ შორის, „ევროპის ხელოვნური ინტელექტის ოფისთან“ (“European AI Office”) თანამშრომლობის ახალი შესაძლებლობების გამოკვეთა და განვითარება.
		4.1.2. ხელოვნური ინტელექტის (AI) ტექნოლოგიების მონაცემთა დაცვის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხებზე რეგიონულ დონეზე სტრატეგიული როლის შესრულება და სადისკუსიო ფორმატების ხელმძღვანელობა.
		4.1.3. ხელოვნური ინტელექტის (AI) ტექნოლოგიების მონაცემთა დაცვის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხებზე საერთაშორისო სამუშაო ჯგუფებში და ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობა.
		4.1.4. საზღვარგარეთის მონაცემთა დაცვის კოლეგა საზედამხედველო ორგანოებთან ერთად პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და ხელოვნური ინტელექტის (AI) საკითხებზე საერთაშორისო ინიციატივების მხარდაჭერა და განხორციელება.
4.2.	ხელოვნური ინტელექტის სისტემების (AI) მეშვეობით პერსონალურ მონაცემთა	4.2.1.ხელოვნური ინტელექტის სისტემების (AI) მეშვეობით პერსონალურ მონაცემთა

	დამუშავების პროცესების მიმართ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ინსტიტუციური შესაძლებლობების გაფართოება.	დამუშავების საკითხებზე სამსახურის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება საზღვარგარეთის მონაცემთა დაცვის კოლეგა საზედამხედველო ორგანოებთან სადისკუსიო პლატფორმების, ორმხრივი გაცვლითი მივლინებების, ღონისძიებების გამართვის გზით.
		4.2.2. საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გზით პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და ხელოვნური ინტელექტის (AI) საკითხებზე ექსპერტული მხარდაჭერის მიღება.

ნატო ვაჩნაძის ქუჩა N° 7, თბილისი

ბაქოს ქუჩა N° 48, ბათუმი

(+995 32) 242 1000

office@pdps.ge